Enguri attraction LLC
Digitally signed by Enguri attraction LLC
Date: 2023.04.05 12:15:47 +04'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№56

ხელშეკრულება შედგენილია თბილისში 2023 წლის 04 აპრილს, ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან მისი კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმების დღიდან და მოქმედებს **2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ - შპს “ენგური ატრაქცია”, მისი დირექტორი **ნიკოლოზ ანთიძის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი”);

მეორეს მხრივ – შპს „გორგია“, მისი დირექტორი **ხვიჩა პაპუნიძის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“).

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 1 ცალი როუტერის (Tenda N301, ანტენების რაოდენობა – 2, 2.4GHZ, შტრიხ კოდი - 20099470041) ნასყიდობა.

<u>გამარტივებული შესყიდვა.</u> **(CPV – 32423000)**

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **61.50** (სამოცდაერთი ლარი და 50 თეთრი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს 3.1. პუნქტით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 3 (სამი) დღის ვადაში. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

5.2. მიმწოდებელი ვალდებეულია 3.1. პუნქტით გათვალისწინებული საქონელი საკუთარი ხარჯებით მიაწოდოს შემსყიდველს შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ N1.

5.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება.

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.5. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მოწოდებული საქონლის დასახელება, რაოდენობა, ფასი და საერთო ღირებულება.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე, ასევე, შესყიდვის ობიექტის ხარისხზე შემსყიდველის მხრიდან კონტროლს განახორციელებს შპს “ენგური ატრაქციის” დირექტორის მოადგილე ირაკლი ჟღენტი. რომელიც უფლებამოსილია კონტროლი განახორციელონ, როგორც საქონლის მოწოდების დროს, ასევე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში. ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების ჩატარებისას და მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტი შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად..

7.2. 9.2 პუნქტის შესრულებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 7.1. პუნქტში მითითებული პიროვნება.

8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონლი იქნება ახალი, არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს) და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული, უვარგისი ან/და წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) დღის ვადაში.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2. ანარიშსწორება მოხდება საქონლის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1. მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და არსებობის შემთხვევაში – ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის დაუბრუნებლობას.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება, ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის

მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.4. ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

14.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

14.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

14.4. ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის ყოველ კონკრეტულ ფაქტზე მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

14.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.6. მხარის მიერ ხელშეკრულების ან მისი რომელიმე ცალკეული პირობების შეწყვეტის, ასევე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

14.7. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილი უნდა იქნას მხრისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) ჩაბარებიდან ან/და ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გადაგზავნიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. თუ რომელიმე მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ან არაჯეროვნად ასრულებს მათ, მეორე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, რაზედაც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 10 დღით ადრე.

15.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება თუ:

ა) გარდა საქონლის მიწოდების ვადების ან/და ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისთვის განსაზღვრული ვადების დარღვევისა, მიმწოდებლის მხრიდან დაფიქსირდება ხელშეკრულების სხვა ნებისმიერი პირობის დარღვევის 5 ან მეტი ფაქტი;

ბ) მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდების ვადის ან/და ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისთვის განსაზღვრული ვადების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოების ჯამური ოდენობა მიაღწევს 10%-ს;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

15.5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

17.1. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
შსს „ენგური ატრაქცია“ დირექტორი:	შპს „გორგია“ დირექტორი მის: ქ. ბათუმი, სოხუმის ქ.№10
_____	GORGIA Подписано цифровой подписью: GORGIA Дата: 2023.04.05 10:35:40 +04'00' _____
/ ნიკოლოზ ანთიძე /	/ ხვიჩა პაპუნიძე /
თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. №18.	ს/ს „თი ბი სი ბანკი“
ს/კ 404535071	ს/კ 245621288
ბ/კ TBCBGE2	ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE37TB7855336070100001	ა/ა GE62TB1007536020100008